საერთაშორისო ბიზნეს რეგულაციები

II ლექცია

- ეკონომიკური თანამშრომლობის მრავალმხრივი რეგულირების სისტემში მოქმედი საერთაშორისო ეკონომიკური ორგანიზაციების ზოგადი დახასიათება;
- მათი ფუნქციები და მიზნები.

საერთაშორისო ბიზნეს რეგულაციები

- **ცნება - საერთაშორისო ორგანიზაცია საერთაშორისო თანამშრომლობის ორგანიზაციულ ფორმას წარმოადგენს;**
- საერთაშორისო ორგანიზაციების სისტემა 4000-ზე მეტი საერთაშორისო ორგანიზაციისგან შედგება, რომელთგან 300 მთავრობათაშორისი ორგანიზაციაა. ამ სისტემის ცენტრში გაერო მოიაზრება. საერთაშორისო ორგანიზაციების ფარგლებში საქმიანობის კოორდინაციის მიზნით იქმნება ერთობლივი ორგანოები, საკოორდინაციო კომიტეტები და სხვა. საერთაშორისო ორგანიზაციაში სხვადასხვა ქვეყნების წარმომადგენლები ერთიანებიან

საერთაშორისო ბიზნეს რეგულაციები

- **საერთაშორისო ორგანიზაციების კლასიფიკაცია სხვადასხვაგვარია და დამოკიდებულია კრიტერიუმებზე. მათ შორის:**
- **მონაწილეების გაწევრიანიების ხასიათის და იურიდიული შინაარსის მიხედვით საერთაშორისო ორგანიზაციები არის სახელმწიფოთაშორისი (მთავრობათაშორისი) და არასამთავრობო;**
- **საერთაშორისო მთავრობათაშორისი ორგანიზაცია** ხელშეკრულებების საფუძველზე სახელმწიფოთა გაერთიანებაა, რომელიც ერთიანი მიზნის მისაღწევად ყალიბდება. მისთვის დამახასიათებელია დაფუძნების დოკუმენტის არსებობა და მუდმივი წევრობა. ისინი მოქმედებენ წევრი-ქვეყნების ინტერესების გათვალისწინებით, მათი სუვერენიტეტის დაცვით და გვევლინებიან საერთაშორისო სამართლის სუბიექტებად;
- **არასამთავრობო საერთაშორისო ორგანიზაციები** იქმნება ფიზიკური ან იურიდიული პირების გაერთიანების საფუძველზე, რომლებიც ასოციაციების, ან ფედერაციების სახით არსებობენ და ერთიანდებიან კონკრეტული წევრების მიზნების მისაღწევად

საერთაშორისო ბიზნეს რეგულაციები

- **მონაწილეთა რაოდენობის მიხედვით** არსებობს უნივერსალური და რეგიონული საერთაშორისო ორგანიზაციები.
- **კომპეტენციის ხასიათის მიხედვით საერთაშორისო ორგანიზაციები არის ზოგადი და სპეციალური. ზოგადი** კომპეტენციის ორგანიზაციების საქმიანობა მოიცავს ნევრ-ქვეყნებს შორის ურთიერთოებების ყველა სფეროს, ხოლო **სპეციალური** კომპეტენციის ორგანიზაციაში ხორციელება თანამშრომლობა ერთ სფეროში.
- **უფლებების განვრცობის მიხედვით არსებობს საერთაშორისო და ზეეროვნული ორგანიზაციები. პირველ** ჯგუფში ყველა საერთაშორისო ორგანიზაცია მოიაზრება, ხოლო **მეორეში** ინტეგრაციის განხორციელების შედეგად წარმოშობილი ორგანიზაციები. მათი გადაწყვეტილებები ვრცელდება რეგიონის ნევრ იურიდიულ და ფიზიკურ პირებზე.

საერთაშორისო ბიზნეს რეგულაციები

- **წევრობის პირობების მიხედვით საერთაშორისო ორგანიზაციები არის ღია და დახურული;**
- ღია საერთაშორისო ორგანიზაციაში გაწევრიანება თავისუფალია, დახურულში კი მიღება წარმოებს პირველი დამფუძნებლების მოწვევის მიხედვით;
- საერთაშორისო ორგანიზაციების ჩამოყალიბება ემყარება სახელმწიფოთა შეთანხმებულ ნებაყოფილობას, რომელიც ფიქსირდება ან საერთაშორისო შეთანხმებაში, ან უკვე არსებული საერთაშორისო ორგანიზაციის გადაწყვეტილებაში

საერთაშორისო ბიზნეს რეგულაციები

- **სახელმწიფოთაშორისი საერთაშორისო ორგანიზაციის ჩამოყალიბების თანმიმდევრობა მოიცავს შემდეგ ეტაპებს:**
- 1. დაფუძნების დოკუმენტის მიღება;
- 2. ორგანიზაციის სტრუქტურის განსაზღვრა;
- 3. მთავარი ორგანოს კრების (სხდომის) ჩატარება, რომლის საფუძველზეც ორგანიზაცია იწყებს ფუნქციონირებას

საერთაშორისო ბიზნეს რეგულაციები

- საერთაშორისო ორგანიზაციების არაწევრ ქვეყნებს შეუძლიათ საერთშორისო ორგანიზაციების ორგანოებში თავისი დამკვირვებლის **წარგზავნა**. შესაძლებელია მუდმივი **დამკვირვებლის აკრედიტაცია**;
- ორივე შემთხვევა გათვალისწინებული უნდა იყოს ორგანიზაციის წესებით;
- **ორგანიზაციის სამართლებრივი ბუნება განისაზღვრება:**
- **წევრი ქვეყნების საერთო მიზნების,**
- **პრინციპების,**
- **კომპეტენციების და**
- **ინტერესების არსებობით;**
- წევრმა სახელმწიფოებმა კეთილსინდისიერად უნდა შეასრულონ მასზედ დაკისრებული მოვალეობები;
- ამგვარად სახელმწიფოები ქმნიან საერთ. ორგანიზაციებს, რომლებიც ასევე საერთაშორისო სამართლის სუბიექტებად გვევლინებიან;
- საერთ. ორგანიზაციები იყოფიან თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში სახელშეკრულებო სამართალუნარიანობის მიხედვით.

საერთაშორისო ბიზნეს რეგულაციები

- საერთ. ორგანიზაციის კომპეტენცია განისაზღვრება დაფუძნების დოკუმენტის მიხედვით და გვევლინება ორგანიზაციის საქმიანობის სფეროდ;
- საერთ. ორგანიზაციის ფინანსური საშუალებები ყალიბდება ძირითადად წევრი-სახელმწიფოების შენატნების ხარჯზე და იხარჯება საერთო მიზნების მიხედვით;
- საერთ. ორგანიზაციის ორგანოები წარმოადგენენ მის ორგანიზაციულ სტრუქტურას. ისინი დაფუძნების დოკუმენტის მიხედვით ყალიბდებიან და შესაბამისი კომპეტენციის, უფლებების და ფუნქციების მიხედვით იყოფიან. თითოეულ ორგანოს თავისი შიდა სტრუქტურა აქვს. დგინდება მათ მიერ გადაწყვეტილების მიღების განაწესი. დაფუძნების დოკუმენტში ან სხვა აქტებში მათი იურიდიული სტატუსი განისაზღვრება. ორგანოების კომპეტენცია წევრ-ქვეყნებთან შეთანხმების გარეშე არ შეიძლება შეიცვალოს.

საერთაშორისო ბიზნეს რეგულაციები

- **მთავრობათაშორის ორგანოებში** არიან წევრი-ქვეყნების წარმომადგენლები, რომელთაც მთავრობის სახელით მოქმედების უფლება აქვთ;
- **საპარლამენტთაშორისო ორგანოები** ძირითადად რეგიონულ ორგანიზაციებში იქმნება და მათი წევრები აირჩევა პირდაპირი არჩევნების გზით, ან სახელმწიფოთა პარლამენტების მიერ ხდება წევრების წარდგენა;
- **საპარლამენტო ორგანოები ძირითადად რეკომენდაციების განევით შემოიფარგლებიან**;
- **ადმინისტრაციული ორგანოები** დაკომპლექტებულია თანამდებობის პირებისგან, რომელბიც საერთ. ორგანიზაციის სამსახურში ითვლებიან და მხოლოდ მათ წინაშე არიან პასუხისმგებელნი;
- **საარბიტრაჟო, სამართლებრივ ორგანოებსა და ექსპერტთა კომიტეტებში** მუშაობენ პიროვნებები _ სპეციალისტები, რომელთა შორისაც უფლება-მოვალეობები გადანაწილებულია

საერთაშორისო ბიზნეს რეგულაციები

- საერთ. ორგანიზაციის ორგანოები ფუნქციების მიხედვით არის: **ძირითადი და დამატებითი**;
- სხდომების პერიოდულობის მიხედვით: **მუდმივი და სასესიო**;
- საერთ. ორგანიზაციის მიერ გადაწყვეტილებების მიღებისას ქვეყანა, ან ქვეყანათა ჯგუფი წარადგენს ინიციატივას, რომელიც დამხმარე ორგანოს მიერ განიხილება. შემდგომ განმცხადებებლი ორგანიზაციის საკითხი განიხილება იმ ორგანოს მიერ, რომელიც იღებს გადაწყვეტილებებს. გადაწყვეტილების მიღება ხორციელდება **ხმის მიცემით და კენჭისყრით**;
- გადაწყვეტილების მიღება შესაძლებელია: **ერთხმად, უბრალო ან პროფესიული უმრავლესობით;**
- უბრალო ან პროფესიული უმრავლესობა შეიძლება იყოს **აბსოლუტური და შეფარდებითი**;
- აბსოლუტური უმრავლესობა მოითხოვს ორგანოს ყველა წევრის აღრიცხვას, ხოლო შეფარებითი მხოლოდ დამსწრეთაგან _ ვინ არის მომხრე და ვინ წინააღმდეგი;
- ზოგიერ შემთხვევაში გადაწყვეტილების მიღებისას გამოიყენება **აკლამაციის** მეთოდი, როცა გამოირიცხება **,,თავის შეკავება" (ანუ, რაღაცას უნდა მისცეს ხმა);**
- საერთ. ორგანიზაციის მუშაობაში ყველაზე მეტად გავრცელდა **კონსესუსის პრინციპი**, რაც აგებულია ქვეყნების ინტერესთა შეთანხმებაზე

საერთაშორისო ბიზნეს რეგულაციები

- **სამართლებრივი სისტემის ორი დამოუკიდებელი სისტემა _ სახელმწიფო და საერთაშორისო _ ერთმანეთთან მჭიდრო კავშირში არიან. ისინი ერთმანეთზე ზეგავლენას ახდენენ**;
- საერთაშორისო სამართლის ნორმებით ქვეყნებისთვის უფლება - ვალდებულებები ყალიბდება, ხოლო იმისათვის, რომ საერთაშორისო სამართალი რეალურად განხორციელეს საერთაშორისო ნორმებში ჩართულია **ეროვნული კანონები და წესები**;
- ზოგიერთ სახელმწიფოში რატიფიცირებული საერთაშორისო შეთანხმებები **ავტომატურად ხდება ეროვნული კანონმდებლობის ნაწილი**;
- ეროვნულ და საერთაშორისო კონონმდებლობას შორის არსებული განსხვავებების შემთხვევაში უპირატესობა ენიჭება საერთაშორისო ვალდებულებებს. ამის მაგალითია **საქართველოს კანონი „ნორმატიული აქტების“ შესახებ,** რომლის მიხედვითაც საერთაშორისო აქტებსა და შეთანხმებებს კონსტიტუციისა და კონსტიტუციური შეთანხმების შემდეგ ყველაზე მაღალი იერარქიული ადგილი უჭირავს

საერთაშორისო ბიზნეს რეგულაციები

- **მსოფლიო სამეურნეო კავშირების მრავალმხრივი რეგულირების აუცილებლობა განპირობებულია შემდეგი გარემოებებით:**
- მსოფლიო ეკონომიკის გლობალიზაციით;
- საინვესტიციო ნაკადების ზრდა და ტრანსნაციონალური კორპორაციების საქმიანობის გაძლიერებით;
- საქონლისა და მომსახურების ნაკადების ზრდით;
- ეროვნული კანონმდებლობების შეუთავსებლობით;
- სავალუტო-საფინანსო სტაბილურობის უზრუნველყოფის აუცილებლობით;
- დარგთაშორისი ეკონომიკური თანამშრომლობის კოორდინაციით;
- ქვეყნებს შორის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების განსხვავებული დონეების არსებობით

საერთაშორისო ბიზნეს რეგულაციები

- **თანამედროვე ეტაპზე საერთაშორისო რეგულირების ძირითადი ამოცანებია:**
- მსოფლიო ეკონომიკის და სავალუტო-საფინანსო სფეროს სტაბილური განვითარების უზრუნველყოფა;
- ქვეყნებს შორის სხვადასხვა ფორმით ეკონომიკური თანამშრომლობის განვითარება;
- ქვეყნებს და დაჯგუფებებს შორის სავაჭრო-ეკონომიკურ ურთიერთობებში დისკრიმინაციის აღმოფხვრა;
- კერძო მეწარმეობის განვითარებაზე ზემოქმედება;
- მსოფლიო ბაზარის და კონკრეტული ქვეყნის კრიზისიდან თავის დაღწევა;
- სახელმწიფოთა მაკროეკონომიკური პოლიტიკის შეთანხმება და კოორდინაცია, რაც განპირობებულია რეგიონული ეკონომიკური ინტეგრაციის ობიექტური ტენდენციით

საერთაშორისო ბიზნეს რეგულაციები

- **გლობალურ და რეგიონულ დონეებზე საერთაშორისო ეკონომიკური ორგანიზაციების მიზნები და ფუნქციებია:**
- ძირითადი პრობლემების შესწავლა და მათ დასაძლევად ღონისძიებების გატარება;
- ვალუტის სტაბილიზაცის უზრუნველყოფა;
- სავაჭრო ბარიერების მოხსნა და სახელმწიფოებს შორის ფართო საქონელბრუნვის ხელშეწყობა;
- კერძო კაპიტალისათვის დამატებითი სახსრების მოძიება ტექნოლოგიური და ეკონომიკური პროგრესის სტიმულირების მიზნით;
- შრომის პირობების და შრომითი ურთიერთობების გაუმჯობესებაზე ზემოქმედება;
- მსოფლიო სამეურნეო კავშირების სფეროში რეკომენდაციების შემუშავება და რეზოლუციების მიღება

საერთაშორისო ბიზნეს რეგულაციები

- **საერთაშორისო რეგულირება ხორციელდება შემდეგი მიმართულებებით:**
- ეკონომიკური და სამრეწველო თანამშრომლობა;
- თანამშრომლობა ტრანსპორტის სფეროში;
- თანამშრომლობა სავალუტო-საფინანსო სფეროში;
- თანამშრომლობა მსოფლიო ვაჭრობის სფეროში;
- თანამშრომლობა ინტელექტუალური საკუთრების სფეროში;
- თანამშრომლობა პროდუქციის სტანდარტიზაციისა და სერტიფიკაციის სფეროში;
- თანამშრომლობა ინვესტიციების სფეროში;
- სამეცნიერო-ტექნიკური თანამშრომლობა;
- თანამშრომლობა საერთაშორისო კომერციული პრაქტიკის სფეროში

საერთაშორისო ბიზნეს რეგულაციები

- მაგალითად, გაეროს ეკონომიკური და სოციალური განვითარების კომისია ეკონომიკური განვითარების საკითხებზე მუშაობს; გაეროს სამრეწველო განვითარების პროგრამა მრეწველობის სფეროში თანამშრომლობას არეგულირებს; სავალუტო-საფინანსო სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობას ახორციელებს საერთაშორისო სავალუტო ფონდი(სსფ), რეკონსტრუქციისა და განვითარების მსოფლიო ბანკი(რგმბ), ასევე რეკონსტრუქციისა და განვითარების ევროპული ბანკი(რგებ) და საერთაშორისო ანგარიშსწორების ბანკი; გაეროს ფარგლებში ტრანსპორტის განვითარების რეგულირებას ახორციელებს სამოქალაქო ავიაციის სპეციალიზებული ორგანიზაცია და საზღვაო ტრანსპორტის ორგანიზაცია; სარკინიგზო ტრანსპორტისათვის ფუნქციონირებს ევროპის კონფერენცია სამგზავრო ტარიფების შესახებ, საავტომობილო ტრანსპორტის სფეროში კი _ საავტომობილო ტრანსპორტის საერთაშორისო კავშირი; მსოფლიო ვაჭრობის საერთაშორისო რეგულირება ხორციელდება გაეროს ფარგლებში არსებული სტრუქტურებით: ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაცია(ვმო), UNCTAD, UNSTAL;
- ცალკეული სასაქონლო ჯგუფების მიხედვით მსოფლიო ვაჭრობის დასარეგულირებლად შექმნილია სპეციალური საერთაშორისო ეკონომიკური ორგანიზაციები. ვაჭრობის სფეროში ფუნქციონირებენ საერთაშორისო არასამთავრობო საერთაშორისო ეკონომიკური ორგანიზაციებიც, მათ შორის, საერთაშორისო სავაჭრო პალატა, საბაჟო ტარიფების პუბლიკაციის საერთაშორისო ბიურო;
- **ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციას ინტელექტუალური სფეროს საერთაშორისო რეგულირებაში წამყვანი ადგილი უკავია.**

საერთაშორისო ბიზნეს რეგულაციები

- ორგანიზაციული პრინციპის მიხედვით სეო-ის კლასიფიკაციას საფუძვლად უდევს ქვეყნის მონაწილეობა გაეროში. აქედან გამომდინარე, სეო-ები იყოა **სამ ჯგუფად**:
- 1. გაეროს სისტემის სეო-ები;
- 2. გაეროს სისტემის გარეთ ფუნქციონირებადი სეო-ები;
- 3. რეგიონული ეკონომიკური ორგანიზაციები

საერთაშორისო ბიზნეს რეგულაციები

- **მრავალმხრივი რეგულირების სფეროს მიხედვით სეო-ების კლასიფიკაცია ხორციელდება შემდეგ ჯგუფებში:**
- 1. მსოფლიო მეურნეობის ეკონომიკის და მრეწველობის სფეროს მარეგულირებელი ორგანიზაციები;
- 2. მსოფლიო ვაჭრობის მარეგულირებელი სეო-ები;
- 3. მსოფლიო ეკონომიკის მარეგულირებელი რეგიონული ორგანიზაციები;
- 4. სამეწარმეო საქმიანობის მარეგულირებელი რეგიონული და საერთაშორისო ეკონომიკური ორგანიზაციები;
- 5. მსოფლიო სამეურნეო კავშირების განვითარებაზე მოქმედი არასამთავრობო სეო-ები.

საერთაშორისო ბიზნეს რეგულაციები

- **ეკონომიკური თანამშრომლობის მრავალმხრივი რეგულირების სისტემაში მოქმედი საერთაშორისო ეკონომიკური ორგანიზაციები:**
- გაერთიანებული ერების ორგანიზაცია (გაერო), სან–ფრანცისკოს კონფერენციაზე დაფუძნდა 26.06.1945 წელს, ძალაში შევიდა ამავე წლის 24 ოქტომბრიდან;
- გაერო სახელმწიფოთა კოლექტიური უსაფრთხოების ფუნდამენტია სამხედრო, ეკონომიკურ, ეკოლოგიურ, პოლიტიკურ, ჰუმანიტარულ და სხვა სფეროებში. გაეროს წევრია 191 ქვეყანა

საერთაშორისო ბიზნეს რეგულაციები

- **გაეროს ოფიციალური მიზნებია:**
- საერთაშორისო დონეზე მშვიდობისა და უსაფრთხოების მხარდაჭერა კოლექტიური ძალების გამოყენების და კონფლიქტების მშვიდობიანი გადაწყვეტის გზით;
- ქვეყნებს შორის მეგობრული ურთიერთობების განვითარება ერებს შორის თანასწორობის და თვითგამორკვევის პრინციპის საფუძველზე;
- საერთაშორისო თანამშრომლობის განხორციელება საერთაშორისო ეკონომიკური, სოციალური, კულტურული და ჰუმანიტარული ხასიათის პრობლემების გადასაწყვეტად ადამიანთა უფლებების და თავისუფლების დაცვის პატივისცემის საფუძველზე

საერთაშორისო ბიზნეს რეგულაციები

- **გაეროს პრინციპებია:**
- მისი წევრების სუვერენული თანასწორობა;
- წესდების მიხედვით ნაკისრი ვალდებულებების კეთილსინდისიერი შესრულება;
- მშვიდობიანი საშუალებებით საერთაშორისო დავების გადაწყვეტა;
- სახელმწიფოთა შორის ძალისმიერი მეთოდების გამოყენებისგან თავშეკავება;
- ალნიშნული პრინციპების შესაბამისად ორგანიზაციის წევრების მიერ დახმარების გაწევა

საერთაშორისო ბიზნეს რეგულაციები

- გაეროს სისტემა შედგება მთავარი და დამხმარე, სპეციალიზებული ორგანიზაციებისაგან, ასევე გაეროს სისტემაში შემავალი ავტონომიური დაწესებულებებისაგან;
- **გაეროს მთავარი ორგანოებია:**
- **გენერალური ასამბლეა;**
- **უსაფრთხოების საბჭო;**
- **ეკონომიკური და სოციალური საბჭო;**
- **საერთაშორისო სასამართლო;**
- **ოპეკის საბჭო და**
- **სამდივნო**
- დამხმარე ორგანოები წესდების შესაბამისად ფუძნდება.
- გაეროს სისტემა მოიცავს პროგრამებს, საბჭოებს და კომისიებს, რომელთაც განსაზღვრული ფუნქციები აკისრიათ

საერთაშორისო ბიზნეს რეგულაციები

- **გაეროს წესდების მიხედვით, ორგანიზაციის ერთ-ერთი მთავარი სფეროა მრავალმხრივი თანამშრომლობის ფარგლებში საერთაშორისო ეკონომიკური ხასიათის პრობლემების გადაწყვეტა. ამ პრობლემათა რიცხვშია:**
- თანამედროვეობის გლობალური ეკონომიკური პრობლემები;
- განვითარების მიზნისთვის მხარდაჭერა;
- განვითარებადი და გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნების ეკონომიკური განვითარებაზე ზემოქმედება;
- გარემოს დაცვის პრობლემების საკითხები;
- განსაკუთრებულ სიტუაციებში ჰუმანიტარული დახმარების გაწევა.

საერთაშორისო ბიზნეს რეგულაციები

- **გაეროს სტუქტურაში ეკონომიკურ საკითხებზე მუშაობენ:**
- ეკონომიკური და საფინანსო საკითხების კომიტეტი (Economic and Financial Committee);
- გაეროს კომისია საერთაშორისო სავაჭრო სამართლის საკითხებზე (UN Commission on International Trade Low);
- საერთაშორისო სამართლის კომისია (International Low Commission);
- საინვესტიციო კომიტეტი (Investment Committee)

საერთაშორისო ბიზნეს რეგულაციები

- **ეკონომიკური და სოციალური საბჭო (Economic and Social Council) გაეროს ერთ - ერთი მთავარი ორგანოა;**
- გენერალურ ასამბლეასთან ერთად იგი პაუხისმგებელია გაეროს ფუნქციების შესრულებაზე, რომელიც საერთაშორისო ეკონომიკურ ურთიერთობებს მოიცავს. ეკონომიკური და სოციალური საბჭოში (ესს) გაეროს 54 წევრია, რომელთაც ირჩევთ გენერალური ასამბლეა. მათ შორის - 11 აზიის, 6 აღმოსავლეთ ევროპის, 10 ლათინური ამერიკის და კარიბის ზღვის აუზის, 13 დასავლეთ ევროპის ქვეყნებიდან და აშშ–დან;
- ესს მუდმივმოქმედი ორგანოა. იგი სესიას მართავს წელიწადში ორჯერ. ესს კოორდინაციას უწევს გაეროს სისტემის ეკონომიკურ და სოციალურ სპეციალიზებულ ორგანიზაციებს და ამავე სისტემის სხვა ინსტიტუტებს. მის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს სარეკომენდაციო ხასიათი აქვთ.

საერთაშორისო ბიზნეს რეგულაციები

- **გაეროს სისტემაში ეკონომიკურ საკითხებზე მომუშავე ორგანიზაციები 3 ჯგუფად იყოფა:**
- **I - ფონდების, პროგრამების და სამუშაო ორგანოების ჯგუფში შედის:**
- 1. კაპიტალის განვითარების ფონდი (UN Capital Development Fund - UNCDF);
- 2. გაეროს კონფერენცია ვაჭრობისა და განვითარების შესახებ (UN Conference on Trade Development – UNCTAD);
- 3. პროექტების მომსახურების ორგანო (UN Office for Project Services – UNOPS);
- 4. გაეროს განვითარების პროგრამა (UN Development Programm - UNDP);
- 5. გაეროს გარემოს დაცვის პროგრამა (UN Environment Programm – UNEP);
- 6. ნარკოტიკული საშუალებების კონტროლის გაეროს საერთაშორისო პროგრამა (UN International Drug Control Programm UNIDCP);
- 7. მსოფლიო სასურსათო პროგრამა (World Food Program – WFP).

საერთაშორისო ბიზნეს რეგულაციები

- **II - გაეროს სპეციალიზებული დაწესებულებების ჯგუფში შედის:**
- 1. შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია (International Labour Organization – ILO);
- 2. სურსათის და სოფლის მეურნეობის ორგანიზაცია (Food and Agriculture Organization – FAO);
- 3. გაეროს ორგანიზაცია განათლების, მეცნიერებისა და კულტურის საკითხებზე (UN Educational Scientific and Cultural Organization – UNESCO);
- 4. სამოქალაქო ავიაციის საერთაშორისო ორგანიზაცია (International Civil Aviation Organization – ICAO);
- **5. მსოფლიო ბანკის ჯგუფი (World Bank Group - WBG), რომელშიც შედის:**
- რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკი (International Bank for Reconstruction and Development – IBRD),
- განვითარების საერთაშორისო ასოციაცია (International Development Association – IDA),
- საერთაშორისო საფინანსო კორპორაცია (International Finance Corporation – IFC).

საერთაშორისო ბიზნეს რეგულაციები

- **გაეროს ასოცირებული ორგანიზაციებია:**
- 1. საერთაშორისო სავალუტო ფონდი (International Monetary Fund – IMF);
- 2. მსოფლიო საფოსტო კავშირი (Universal Postal Union – UPU);
- 3. ჯანდაცვის მსოფლი ორგანიზაცია (World Health Organization – WHO);
- 4. ტელეკომუნიკაციების საერთშორისო კავშირი (International Telecommunication Union – ITU);
- 5. მსოფლიო მეტეოროლოგიური ორგანიზაცია (World Meteorogical Organization – WMO);
- 6. საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაცია (International Maritime Organization – IMO);
- 7. ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაცია (World Intellectual Property Organization – WIPO);
- 8. სოფლის მეურნეობის განვითარების საერთაშორისო ფონდი (International Fund for Agricultural Development – IFAD);
- 9. გაეროს სამრეწველო განვითარების პროგრამა (UN Industrial Development Organization – UNIDO).

საერთაშორისო ბიზნეს რეგულაციები

- **III - გაეროსთან დაკავშირებული ავტონომიური ორგანიზაციების რიცხვში შედიან:**
- 1. ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტო (International Atomic Energy Agency - IAEA);
- 2. ნარკოტიკული საშუალებების კონტროლის საერთაშორისო საბჭო (International Narcotics Control Board – INCB);
- 3. საერთაშორისო სავაჭრო ცენტრი (International Trade Center – ITC);
- 4. ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაცია (World Trade Organization – WTO);
- 5. ტურიზმის მსოფლიო ორგანიზაცია (World Tourism Organization – WTO).

საერთაშორისო ბიზნეს რეგულაციები

გმადლობთ
ყურადღებისათვის!!!
მომავალ შეხვედრამდე!!!

☺️ ☺️ ☺️